

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობის საშუალებით 1000 წყვილი შავი ფერის ზამთრის მაღალყელიანი ფეხსაცმლის შესყიდვას.

- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს ფასთა გამოკითხვას 1000 წყვილი შავი ფერის ზამთრის მაღალყელიანი ფეხსაცმლის შესყიდვაზე. პრეტენდენტებს შეუძლიათ გამოხატონ ინტერესი 2018 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით.
- დამატებითი ინფორმაცია, ზემოაღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ იხილოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში www.procurement.gov.ge.

მოგესალმებით,

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გეგმავს 1000 წყვილი შავი ფერის ზამთრის მაღალყელიანი ფეხსაცმლის შესყიდვას.

ბათინკების სავარაუდო ტექნიკური პარამეტრები მოცემულია მიბმული ფაილის სახით (დანართი N1).

შესყიდვა განხორციელდება გამარტივებული (პირდაპირი) შესყიდვის საშუალებით.

საქონლის მიწოდების ვადა: არაუმეტეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი კომერციული წინადადება, რომელშიც ასახული უნდა იყოს:

- საქონლის ფასები, რომელიც მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან, ტრანსპორტირებასთან და შემსყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (დღგ-ს გათვალისწინებით), მოსაკრებელსა და სახდელს.

- საქონლის მიწოდების ვადები, რომელიც უნდა იყოს არა უგვიანეს 2018 წლის 1 დეკემბრამდე.

- ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის მწარმოებელი ქვეყნის, ფირმისა და მოდელის შესახებ.

- შემოთავაზებული ბათინკების ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატები, რომლებიც დაადასტურებენ დანართ N 1-ში მითითებულ მახასიათებლებთან შესაბამისობას.

- გთხოვთ წინადადება წარმოადგინოთ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით

- შემოთავაზება მოგვაწოდეთ ინვოისის სახით ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: Larabuli@mod.gov.ge

იმ შემთხვევაში, თუ დარღვეული იქნება კომერციული წინადადების წარმოდგენის ვადები, შემსყიდველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს ასეთი კომერციული წინადადება.

ასევე გაცნობებთ, რომ გამარჯვებულის გამოვლენის დროს ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ფაქტორებზე:

- ✓ საქონლის ერთეულის ფასი;
- ✓ საქონლის მიწოდების ვადები;
- ✓ საქონლის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატები, რომლებიც დაადასტურებენ დანართ N 1-ში მითითებულ მახასიათებლებთან შესაბამისობას.

ტექნიკური პირობა ზამთრის მაღალყელიანი ფეხსაცმელი

- ფერი - შავი
- ნატურალური საქონლის ტყავის. სისქე - 1,8–2.0მმ–მდე.
- მაღალყელიანი : ყელის ზომა (სიმაღლე) – 18 - 20 სმ , იზომება შიდა მხრიდან, ძირიდან დაბოლოებამდე.

- საზედაპირე მასალა - წყალგაუმტარი, ნატურალური საქონლის ტყავის. ტყავის სისქე - 1,8მმ–2,0მმ, რომელიც არის სპეციალური ტექნოლოგიით დამუშავებული და აქვს წყალამსხლეტის ეფექტი. ქსოვილი: ნეილონ/ქორდურას (NEYLON – CORDURA)

კომბინაციით - 900 დენი, ჰაერგამტარი, წყალმსხლეტი და ცვეთაგამძლე, რომელიც შესქელებულია და ქმნის ფიგურულ ფორმებს ზედაპირზე ქსოვილი განიხილება მხოლოდ ფეხის წვივის გარშემო (ფეხსაცმლის ზედა მხარე).

- შიდა სარჩული - მათბუნებელი "Thinsulate" (ტინსულიტი). გამოყენებულია მემბრანული მასალა, რომელიც უზრუნველყოფს ფეხსაცმლის ნესტგამწოვიანობას (შიგნიდან გარეთ), ფეხსაცმლის წყალგაუმტარობას (გარედან შიგნით) და ფეხსაცმლის სუნთქვადობას (ცირკულარული). მემბრანული სარჩული მთლიანად გამოკრულია შიდა მხრიდან და მოიცავს ფეხსაცმლის შესაკრავის ქვედა განყოფილების ზონას, კერძოდ იგულისხმება ფეხის კოჭის ჩათვლით.

- შიდა ძირი - აქვს ფეხის ანატომიური ფორმის, ამორტიზირების, სტაბილიზაციის და დარტყმის მშთანთქავი თვისებების მქონე სპეციალური დაპრესილი ფენები (შრეები). რომელიც ფეხის ტერფს იცავს უხეშ საგნებზე (მაგ. ქვები, ბარიერი და ა.შ.) გადაადგილების დროს და უზრუნველყოფს კომფორტულობას. გამოყენებული მასალა: პოლიურეთანი (PU), რომელიც მოიცავს მთლიან შიდა ძირს და გადასულია შიდა მხრიდან საზედაპირე ტყავზე, რაც უზრუნველყოფს ფეხსაცმლის ძირისა და საზედაპირე ტყავის მაკავშირებელი ადგილის სიმყარეს სხვადასხვა სტრატეგიულ ადგილებში (იგულისხმება ცხვირი, ქუსლი).

- გარე ძირი - მაღალი ტექნოლოგიის მქონე მასალის ძირი (VIBRAM). მაღალი სისქის და ფიგურული ფორმის პროტექტორით ცვეთაგამძლე, ალგამძლე. იცავს ფეხსაცმელს მოცურებისგან ყინულზე და ზეთოვან ზედაპირზე. შემადგენლობა: რეზინა/პოლიურეთანი (Rubber/PU). ძირის მიმაგრება ზედაპირთან ინჟექტორული ტექნოლოგიით. ფეხსაცმელს აქვს ზედნადები (გადაჭიმული) ნაწიბური, უკანა მხარეს ე.წ. ქუსლის ზონაში, რომელიც საზედაპირე ტყავს დაიცავს დარტყმისგან. არის რეცხვამედეგი.

- ჩასაფენი ღაბაში - ფეხის ანატომიური ფორმის, გამოკვეთილი ქუსლით, რომელიც კომფორტულია და დატვირთვის დროს ფეხი არ იღლება. ადვილად გამოცვლადი და რეცხვის შემთხვევაში სწრაფად შრობადი.

- დამხმარე მოწყობილობები - ფეხსაცმლის შესაკრავი დაყოფილია 2 განყოფილებად (ქვედა და ზედა), რომელთა ზონრის საყრელები დამზადებულია უჟანგავი ლითონით და დამაგრებულია მყარად საზედაპირე ტყავში. ზონარი მრგვალი ფორმის შეუზღუდავი, ადვილად ეყრება გასაყრელებს, არ აქვს დაბრკოლება და დაბოლოებულია საყრელით.

- ენაკი - მასალა: ფეხსაცმლის საზედაპირე ტყავის შესაბამისი, ნეილონ/ქორდურა. განთავსებულია ზედა ტერფიდან ფეხსაცმლის ბოლომდე. ენაკისა და ყელის დაბოლოება გასქელებულია შიგნიდან ღრუბელით. ენაკი არის თავისუფალი და არ ზღუდავს ფეხს ჩაცმის დროს.

ფეხსაცმელი არის კომფორტული, შეუზღუდავი და თავისუფალი ნებისმიერი გადაადგილებისა და წინააღმდეგობების დროს (გადაადგილება: საფეხურზე, კიბეებზე, დაჩოქილი, დაწოლილი, ბარიერის გადალახვა) ინარჩუნებს პირვანდელ სახეს ექსპლუატაციის დროს .